22 ივნისი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10

იუმორისტ. ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი

№ 36



ეროვნული ბიბლიოთეკა



„მარქსიზმი“ და გრ. რობაქიძე.

**გ. რობაქიძე.** იმე, რავა ლაპარიკობთ, ბატონებო! ერთს შუუბერავ და ამ ლილიპურტის კვალსაც ველარ ნახავთ!!

## ჩვენისთანა ბედნიერი...

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“
საზღვარ-გარეთ თუ გადადი,
მოიპარსე ულვაშ-წვერი,
ათი წიგნი გადალეჭე
ნემეცურათ დანაწერი,
სამშობლოში დაბრუნებულს
დაგერქმევა მეცნიერი.
„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“
თუ მსოფლიო „პრობლემებში
გაძვერი და გამოძვერი,
რასაც აზრით ველარ მიწვდი
ღმერთს მიანდვე ყველაფერი,
კურთხეული მამულისთვის
ხარ „ფილოსოფ-მეცნიერი“.
„და ჩვენგვარი ბედნიერი
განა არი სადმე ერი?“
რომ სამშობლოს მექანქრენი
გყავდეს მუდამ მადლიერი,
მარქსი უნდა „დაამსხვრიო“
თითონ დაჯდე მაგიერი
არ მოგაკლონ „სულის წყარო“
და ალერსი სახიერი,
„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“

ეშმაკი.

## სამშობლო.

„საც დამიღამდეს იქ გამითენდეს,
მუნ იყოს მიწა ჩემი სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“
ნ. ბარათაშვილი.

ნუ ნუ მაყვედრით სამშობლოს ღალატს
ნუ მარქმევთ დამრღვევს მისადმი ვალის,
გრძნობას მიწამლავს ეგ თქვენი მსჯავრი
ქვეყნიერ შვებით მტკბარის და მთვრალის!

აჰა, ეს გული და წაიკითხეთ
ჩემი წასრული ამის ფიცარზე,
თუ ჰპოებთ მასში ერთ სიამის წუთს
დე მიმითითეთ ამ საფიცარზე!

მაგრამ ამაოდ! აქ მხოლოთ ერთი
ტანჯვა-წვალება მეფობენ მარად,
და დღეს არსებულს აბა რას უთხრა:
თავს შემოგევლო მიმიჩანს არად?!!

მე აქ ვშობილვარ — ამ საქართველოს
მშვენებით სავსე ტურფათ მორთულსა,
რა დაჳმალლო? თვის სილამაზით
განა მიმთელებს დასერილ გულსა?!!

მთანი მაღალნი, ამაყად მდგარნი
ჩემს მწარე ფიქრებს გულს მოზღვავებულს,
ფარდათ ხმარობენ, გრძნობით ვერ ვხედავ
იმათსა სახეს, ისე დიდებულს!

საამო ყვავილთ სურნელებანი
ღრმა კაეშანში სადღაც ჰქრებიან,
მდელოს ბიბინი, ცვარის ციმციმი,
მშვიდობის სხივათ სულს არ სწვდებიან!

წყაროს ჩხრიალი, ბულბულის სტვენა,
და მდინარეთა დუდუნ ხრიალი,
არ მატყვევებენ, ჩემთვის უცხოა,
ტკბილ ყრუოლის მგვრელი იმათი ძალი!

ჩემი საფარი აქ მხოლოთ ცაა,
ქუჩაში სვლისაც არა მაქვს ნება,
და რათ არ მეტყვით სულ ამოუწვდელს
ეს უფლებები სად არ მექნება?!!

არ მაგონდება, მე არ მიცდია
ძმა, მეგობრების ალერსი ტკბილი,
სალხენ-საამო არაფერი გვაქვს,
რომ შიგ ურთი ერთს დაუდოთ წილი!

ხვედრის სიმწარემ ჩვენ შეგვაერთა
მან შეკრა ჩვენი ძმობის კავშირი,
სად გსურთ მისროლეთ ასეთ მეგობრებს
ყველგან კი ჰპოებ, იქნება ხშირი!

დაღარულ შუბლით, უხმოთ, უსიტყვოთ,
გამოიცნობა ჩვენი ერთობა,
დამჭკნარ სახეზედ აღბეჭდილია
ვის ხარჯზეც არის იქ, ის გართობა!

თვით აჩრდილებიც ჩემს გვერდზე მკვდრების,
მათ საფლავთაგან გარდახვეწილს შორს,
ჩამჩურჩულებენ: იქაც ბევრს ჰპოებ
ბრძოლისა ველზე დაღუპულს ჩვენ სწორს!“

დიახ! ეს ხვედრი ყველგან წამყვება,
მარტო აქ არ ვარ განსხვავებული,
მისთვის სამშობლოს არ უძახი: „ძირს!“
მაგრამ არც მას ერთს ეკუთნის გული!

სამშობლო თქვენი განსასვენია
ლხენით დამტკბართა ტკბილ სარეცელი,
ბედნიერება მისი რაც ნიშნავს
მოჭერილი აქვს მას თქვენი ხელი!

თქვენი მაღალ მთის მწვერვალთაგან
ამაყად მზერა მინდორ ველის ძირს,
თქვენი ტყისა ჩრდილში განცხრომა
ტალღის ალერსი იქვე, წყლისა პირს!

თქვენი თვალნი სწორ უპოვარნი
ნაზ არსებათა მედიდურება,
თქვენია მთელათ სამშობლო ესე
და ჩემი წილი თავისუფლება!

მე შემოგყურებთ განცხრომის ტახტზე
თქეენგან გაჭედილ ბორკილ დებული,
და კბილთა ღრჭენით მის დაგლეჯის მდომს
მსურს ძირს ვიხილოთ ჩამოგდებული!

ეს არის ჩემი ერთი მიზანი,
გატაცებული ვარ მხოლოთ ამით,
აზრი და გრძნობა, ხედვა და სმენა
ამ ფიქრს არ სტოვებს არც ერთი წამით!

დიახ!! მწყურია: თქვენს ნამყოფ ადგილს
ავაფრიალო დროშა ბრძოლისა,
და გწამლავთ განა იმ სიშორიდან
წინ, წინ რომ მიწვევს მე ხმა ტოლისა?!!

ის ხმაა ჩემი ერთი იმედი,
მომავლისაკენ გზა და ხიდია,
ის ხმა ისიც თქვენ რომ კითხულობთ:
„ძირს! ძირს! სამშობლო ზურგს ნუ გკიდია!“

მაგრამ ეს განა ღალატი არის
და სამარცხვინო შემფერს სახელი?
ან თქვენი გმობა მას მოასწავებს
სამშობლოს ნგრევათ ამეღოს ხელი?

ვაგლახ განკიცხვას თქვენსას უწყალოს,
ვაგლახ არ კაცურს მაგ სამართალსა,
მე კი ვიბრძოლებ, ბრძოლა კვლავ ბრძოლა
და გაუმარჯოს ჩვენში მართალსა!..

რ. ლეჩხუმელი.

---

## გლეხის მდგომარეობა.

რეაქცია რომ გამეფდა,
და დრო დადგა ერთობ ძვირი,
გლეხის თავზე დატრიალდა
ათას გვარი გასაჭირი.

თან ყოვლის მხრით მას მოაწყდენ
საკლებათ და საორგულოთ,
ვით ესევა წაქცეულ ხეს
ყველა ცულით და უცულოთ.

პოლიციელ-მოსამართლე,
მღვდელი ქრისტეს მაგიერი,
მებატონე, მემამულე,
თუ ვაჭარი გულცბიერი.

ყველა ამას აუმხედრდა,
ვით სჩვევია დაბალ ლობეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველა გზა სინათლისკენ
გადუქრეს და გადულობეს.
ასე ალყა შემორტყმულსა
პირმოთნულის მზრუნველობით,
თვისი რჩევა დარიგებაც
წინ დაუდგეს მთელი გობით!

ჩინოსანი ყრილობებზე
ერთობაზე მიუთითებს,
ალნუსხავს რა იმ დროინდელ
გულშემზარავ მაგალითებს,

ეუბნება: „დაწყნარდიო,
ჩემი რჩევა გაიგონე!
შეითვისე ჩემი მრწამსი,
მემსახურე და მემონე!

ხომ ხედავ, რომ ეხლა ჩემში
ძალა და სიმაგრეაო?!
აბა, რის თავისუფლება?
ის ჯერ შენთვის ადრეაო!“

ცრუ-სიმართლის ქურუმს მისთვის
ხელთ უპყრია განაჩენი:
ეს-ციხეში! ის-სიკვდილში!
ცივ ქვეყნისკენ-დანარჩენი!

ქრისტეს მცნების მოციქული
თვისთა ბავეთ მის წინ არხევს
და ზნეობის დიად საკითხს
თვითონ სვამს და თვითვე არკვევს.

სჩივის: „ხალხი სულ გაირყვნა:
არც ზნეობა! აღარც სჯული!
არც თავფეხი, არც საკურთხი,
შემწვარი ან მოხარშული

არც ქელეხი ძველებური,
საეტლო ან საწირავი,
ცხვარს და კუროს ვი-ლა სჩივის?
არც თიკანი და არც კრავი!

ღმერთს ვმადლობ, რომ სამღვდელო-წესო
ჯერ სულ კიდევ არ გამქრალა!
დრამის ფულიც პოლიციამ
ამ წლის ჩამომიჩხრიალა.

თორემ შენი მტერი იყო!
საქმე მჭირდა მეტად ძნელი:
რითი უნდა შემენახა
ან ცოლშვილი, ან მუცელი?

სულიერი მამის რჩენა,
გლეხო, ღმერთმა ვალად გარგო!
შენც ასრულე ის პირ ნათლად
რომ სამოთხე არ დაჰკარგო!

ჩემი რჩევა შვილო ჩემო,
რა იქნება უკეთესი!!
მღვდელს მიართვი ყველაფერი,
რასაც ითხოვს სჯულის წესი!“

მებატონის გულის ძგერა
არის ლალა და მამული
და სცდილობს რომ გლეხს აუხსნას
რაღაც კითხვა-აგრარული.

ვაჭარიც კი საქონლისა
სიფარშივეს და სიძვირეს
ახსნის იმით, რომ მუშებმა
„ზაბასტოვკებს“ მოუხშირეს!

ასე თავის სიერთგულეს
თვითეული გლეხს უმტკიცებს
და, რომ სრულად დაარწმუნოს,
ღმერთს და სინდისს დაუფიცებს.

მაგრამ მუდამ „ჭირს შიგან მყოფს“
გლეხს გამოცდილება მწარე
უმტკიცებს და აგებინებს
ვინ მტერია ვინ მოყვარე.

მოვა დრო და მართალ გზასაც
უჩვენებს მას ეგ შეგნება
და მწამს, ბედს არ დაუმადლებს,
ვინც დღეს მისი ტანჯვით სტკბება!

მანამდის კიდე ილხინონ!
დე იტანჯოთ შრომის შვილი!
იქით ლხენა აქეთ ტანჯვა
არს ცხოვრების გაკვეთილი!.

ნ. ზომლეთელი.

---

## ნელიმ სთქვა.

კრებასა ერთსა დავესწარ
საქანქრო საქმე წყდებოდა;
მუნ იყვნენ ბურჯნი ბათუმის,
ბჭობდნენ რაც გაეწყობოდა.

ფული არ ჰქონდათ სკოლისთვის,
(ქართული საქმე ხდებოდა);
მასწავლებელნი ამ სკოლის,
თურმე შიმშილით კვდებოდა.

ბოლოს მიაგნეს სახსარი,
ჩვეულებრივი, ნაცადი:
სესხი აიღეს ბანკიდან
თუმანი ერთი ასამდი.

ამ დროს წამოდგა კნეინა
დადიანისა ასული,
აღალო ბაგე სათქმელათ,
კრებამ განაბა მსწრაფლ სული:

„კი ბატონებო, ვისესხოთ
მარა ვის მიაქვს ეს ფული?
ჩვენმა ბავშვებმა საკმაოდ
არა იციან რუსული.

და თუ არ გჯერათ ბატონნო,
კომიტეტისა წევრებო,
ესე ამბავი „ნელიმ სთქვა“
ნუ თუ არ დაიჯერებო!.,

ეს სთქვა და ისევ დაბრძანდა,
(უყვარდეს სხვისი მოსმენაც)
ისეთი საქმე წაჰკიდეს,
ახლაც კი იკვნეტს ის ენას.

მრავალ მხრით დაუსაბუთეს,
სცდებოდა ესე ასული,
ბოდიშს იხდიდა მალი-მალ,
კნეინა წრეს-გადასული.

უკანა აზრით ნათქვამი
არ გამოადგა „რეჩია“
რა გაეწყობა „ნელიმ სთქვა“
მაგრამ არ ეთქვა, ერჩია.

უკულმართი.




## მესტვირული.

ეშმაკო, ერთხელ მათხოვე
შენი ქამანჩა სტვირია,
მუდამ ბლიკვაძეს, ბლიკვაძეს,
განა სხვას არა სჭირია?!
მსურს ერთი ავახმატკბილო
კოხტათ შეუწყო ხელია,
ლილინ-ლილინით შევაქო
ვინც კი მყავს საქებელია.
ჩაუვლი ყოფილ ჯურუყვეთ.ს
დღეს კი ჩოლოქათ ქცეულსა,
კარისკარ მოვინახულებ
შავ რაზმელებსა ქებულსა.
პირველათ ვნახავ დიმიტრას
(ორგანოს მესვეურია,)
ოხრათ გავლეშოთ კუდინით
თუმცა მას სისხლი სწყურია.
არავის დაეკარგება
„კეთილი“ ნამსახურია,
მიხელ რაინდსაც მივმართავ
(ვინაც აიკლო გურია.)
რას ემზადება ნეტავი
სად სურს იძიოს შურია,
ბერ გაპრიელსაც ვურჩიოთ
რატომ არ შეისვენებსა,
ნუღარ უსისებს ქვეყანას
თავისს მეკანჭე ლეკვებსა,
თორემ დრო მოვა, მათრახ ქვეშ
ლეკურსაც დაიცეკვებსა.
შემდეგ ვესტუმროთ სირიას
შევაქოთ გუდა სტვირითა,
რაც სისაძაგლე გულში აქვს
ვათქმიოთ თავის პირითა.
მოგვიყვეს შავი გმირები
რა მიზნით ირაზმებიან
რა მოელანდა საწყლებსა
ტყვილათ რო შიშით კვდებიან.
ვკითხოთ „რაინდნი“ ქყონიებს
რატომ არ ეკითხებიან
(ეს მათ ხო ადრე დაიწყეს
თუმც დღეს სირცხვილით კვდებიან.)
ვითარმედ ცივსა ნაცარში
კვერნი არ გამოცხვებიან.
ბოლოს კი დავსცხოთ მათრახი
ამ ბერ მგელს ჩვენებურათა
წასვლაზე უნდა უფრთხილდეთ
არ გვიყოს მისებურათა...
თუ დათიკოსაც მოვხვდებით
მგონი არ იქნეს მეტია
ჯერ ტკბილის ენით შევკითხოთ
რა უნდა ვერ დაეტია?
რას ეჩხირება შავრაზმში
ეს საცოდავი რეტია!!
თუ ენა ტკბილმა არ გასჭრას
ვშინჯოთ მათრახი წკვერტია.

ყიამეთი.

## ბიბლიოგრაფია.

„ქეთო“, ესკიზი (ფაბრიკის ცხოვრებიდან, პ—ე ხიდისთაველისა „ალიონი“ № 1 *)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პ—ე ხიდისთაველმა ჩვენი მწერლობის „ჰორიზონტზე“ ამოაშუქა. იმან წვერი ჰქნა „რიყრაყზე“ და „ალიონზე“ საბოლოოთ ნათელ სვეტათ ამოეყუდა.

ამ მწერლის სტილის სიდიადე, სიდიადე მისი მხატვრული ნიჭისა, ახუ იმ სიტყვით რომ ვსთქვათ, რა სიტყვის ხმარებაც თავის მხატვრულ ნაწარმოებში მეტის მეტად უყვარს პ—ე ხიდისთაველს,—„ჰორიზონტი“ მისი ნიჭისა დიად და მიუწდომელ-არს.

აზრები ღრმა და ფართო მიუწდომელი, ვითარცა თვით „ჰორიზონტი“, ცხოვრების დაკვირვება ფართო, ვით გაელვარებული „ჰორიზონტი“, ახალ-ახალ სურათების...(ამის შემდეგ თითქმის მთელი თაბახი, წვრილი ხელით დაწერილი ვერ გავარჩიეთ. რედ.)

...ყურადღება არ მიუქცევიათ ცხოველთა მდგომარეობისათვის. პ—ე ხიდისთაველი ამ ნაკლს ჩვენი მხატვრული მწერლობისას ასწორებს. მისი ნიჭი ყურადღებას აქცევს როგორც ადამიანთა ურთიერთ-შორის სოციალურ ძალთა განწყობილებას, ისე ადამიანთა და ცხოველთა შორის ატეხილ ჩუმს, მარა მრავალმნიშვნელოვან ბრძოლას. ყველასაგან მოძულებულს, საცოდავ არსებას, ვირს, ჯერ არავინ გამოქომაგებია ჩვენს მწერლობაში.

*) სამწუხაროთ ბიბლიოგრაფს ისე დაუწერია ეს ბიბლიოგრაფია, რომ ბევრი ადგილები ვერ გავარჩიეთ. ვბეჭდავთ მხოლოდ იმას, რის გარჩევაც შევძელით. რედ.

... შეუდარებელია ამ მოთხრობაში აღწერა საცოდავ სახედარის, ანუ ვირის სოციალურ მდგომარეობისა. ამ პატიოსან ცხოველის აბუჩათ აგდება, მის მიერ გოდრების თრევა, ადამიანის მიერ დამონავება ამ დიდ-ყურა არსებისა, რომელსაც არ შეუძლია არც გაფიცვა, არც სხვა რამ სახით პროტესტის გამოცხადება,—საშინელებაა, საშინელებაა!.. აი ასეთი უნუგეშო ვითარება ვირისა, მისი სოციალური მდგომარეობა, გაჭივრების დროს მისი სულის კვეთება, მშვენივრათ, ხსარტულათ აქვს დასურათებული მოთხრობაში „ქეთო“ ბელეტრისტ პ—ე ხიდისთაველს. ამნაირათ შეგნება ვირის პსიხოლოგიის „ჰორიზონტისა“ ჯერ არც ერთ ჩვენი მწერლის კალამს არ ღირსებია. ცხადია ავტორი თითონ გრძნობდა იმ ტანჯვა-ვაებას, რომელიც ბედმა არგუნა ვირთა ჯიშს და ვირის ფსიხოლოგიური ჰორიზონტით გაჟღენთილი, ასე მჭევრ-მეტყველურათ აგვიწერს დაჩაგრულ ცხოველთა გულის ნადებს:

„...ერთს სახედარს მიუახლოვდა პატარა ბიჭი, გაცვეთილ ქალამნებში, ნამძინარევი თვალებით დაგლეჯილი ლურჯი პერანგით, რომელსაც დაუბანელ თავზე კახური ქუდი უშნოთ წამოეკდო გვერდზე, და სწორება დაუწყო საპალნეს, რომლის ცალი გოდორი ძლიერ გადახრილიყო ერთი მხრით და დავარდნას ლამობდა.

ერთმა ახალგაზრდა სახედარმა იდროვა, მიადო მის გვერდით მდგომ სახედარს თავი თავზე და წყენით უთხრა.

— მეგობარო, რა შეუბრალებელი-ძუნწი ულვთოა ადამიანი!.. როგორ გვექცევა!?

ბებერმა სახედარმა ნაღვლიანათ გაიღიმა, ყურები გააპარტყუნა, პირი დააღო, ის, ის იყო უნდა ეთქვა რაღაც, რომ ახალგაზრდა სახედრის ზურგზე მათრახმა ტყლაშანი მოადინა, და ჰაერში გაისმა პატარა ბიჭის ხმა.

— ჰო, ჩოჩ. . ჩოჩ!.. შე ვერანა!

საწყალი სახედარი დაიკლაკნა წელში. მიათრ მოათრია უკანა ფეხები, ყურები გაიბერტყა, თვალები ფართეთ დააღო, ორი მწუხარების ცრემლი მოსწყდა მის თვალებიდან და მის მოგრძო სახეზე ნაკადულივით ჩამოგორდა.“

აქ აღსანიშნავია ის ღრმა პატივის ცემა, რა პატივის ცემითაც ეპყრობა ახალგაზრდა ბელეტრისტის პოეტური ჩვილი გული საცოდავ სახედარს. მხატვარი პატივსაცემ სახელს უწოდებს გმირ ვირს, ის მას „ვირს“ კი არ უწოდებს, როგორც ზოგიერთი უზრდელი მწერლები, არამედ „სახედარს“...

საწყალი სახედარი!.. მისი ცოდვა მიეცა იმ პატარა ბიჭს, რომლის მოქმედებამაც ასე ატირა ვირი, უგვარავათ... სახედარი, რომელმაც მოსწყვიტა მის თვალებს ორი ობოლი ცრემლი და მის მოგრძო სახეზე მწუხარების ნაკადულათ ააგორა!! ოჰ ბოროტო და უსულგულო ბავშვო!

საკვირველია, ჩვენი მთავრობა და განსაკუთრებით ქუჩის პოლიცია რათ არ აქცევს საზოგადოთ პირუტყვთა და კერძოთ სახედრის სოციალურ მდგომარეობას ჯეროვან ყურადღებას!. ავიღოთ თუნდ ცხენების მდგომარეობა. ამ საცოდავ ცხოველებს უნდათ თუ არ უნდათ შეაბამენ დროგებში, ან ეტლებში და აჩიქჩიქებენ მთელი დღეობით, თვეობით, წლობით... როცა მათ ეტლებში, ან დროგებში გაუბმენ, რათ არ დაეკითხებიან—სურთ მათ თუ არა ეს, იქნებ მათ იმ დროს ძილი უნდათ*)...

დრო კი, იყო, თქვენმა მზემ პირუტყვთა ასეთ უნუგეშო მდგომარეობისათვის ვინმე მხატვარს ყურადღება მიექცია. და აი ეს ყურადღება არ დაიშურა ახალგაზრდა მწერალმა. დიდი მადლობა მას ამისა გამო.

საცოდავი სახედარი!.. მისი ორი ობოლი ცრემლი*). . შემდეგ ვეღარ გავარჩიეთ. ვერც ის გავარჩიეთ, თუ ვინ აწერს ამ ბიბლიოგრაფიას ხელს. ვფიქრობთ რომ უნდა იყოს

კენტი.

---

## მოღალალატეს.

(ვუძღვნი მ—ს)

კაცი ფლიდი, არ გამტანი
მითხარით რის მაქანაა?
სხვის ფანდურზე მოცეკვავე
ხომ უსულო მანქანაა?!
არც-კი ფიქრობს, უგუნური
თუ რას სჩადის ამგვარ ქცევით,
და რასაც კი უბრძანებენ
ისმენს ყველას, თავის ქნევით.
თავ დაღუნულ, ქედ-მოხრილი
ელის, რაღაც დანაპირსა:
პატივს, სახელს, წარჩინებას,
მისთვის უთხრის მოძმეს ძირსა.
ვინც რომ მუდამ მასთან იღწვის
და სიმწარით გააქვს ღელო,
მას ღალატობს, უაირცხვილოთ
ვინც რომ ოფლით მორწყო მდელო.
მაგრამ მწამს არ შეარჩენენ
ხალხში შურსა დანათესსა,
გაჰკიცხავენ იმათ საფლავს,
მსჯავრს დაუდებენ შესაფერსა.
მიტომც ვარ, გულს იმედით
გაბრწყინდება მზე დიადი,
მოსპობს ქვეყნათ შურს და ღალატს,
მომავალი, განთიადი.

„ზარბაზანი“



*) ამბობენ ზოგიერთ ქვეყნებში ადამიანებსაც ამუშავებენ ძალდატანებითო. ეშმაკი.

*) როგორც სჩანს თვით ბიბლიოგრაფიც მეტათ გაუტაცია სახედრების ამბავს. გვიკვირს რატომ ვერ შეამჩნია მან ქეთოს „ორი ობოლი ცრემლი“, რომელიც მას მოსწყდა თვალებიდან და მის პატარა ბავშვს დაეცა მოპარსულ თავზე. გესმით? მოპარსულ თავზე, ხუმრობა საქმე ხომ არ არის?!..
რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოხსენება.

### ქუთაისის რევიზიისა.

(გაგრძელება)

**ურემი რომ გადაბრუნდება გზა შემდეგ გამოჩნდებაო.** აი ამ ანდაზისებური საქმე დაემართათ აქაურ უპრავის მოხელეებს. „ჩვენი დანით გამოვიჭერით ყელი—დიქტატორი ჩვენი წყალობით წამოვისკუპეთ თავზე. თითომ სამ სამი კენჭი მაინც ვუშოვნეთ იაკობს, როდესაც ის „ჩლენობაზე“ ყუთს იდგამდა. და მართლაც. სხვა ფრივ მოქცევა არც შეგვეძლო, იმ რიგათ გამოგვიყრუა ყურები მისი ქებით მისმა ერთგულმა აგენტმა ვარლამ ფანცხავამ (უპრავაში მსახურობს). ვის მოველოდით და ვინ მოგვივიდაო“, აი როგორ კილოზე მღერიან დღეს უპრავისტები. მაგრამ ეხლა გვიანაა. კაი ხანია მას აქეთ, დუმამ დაადგინა თავიანთ მოხელეებისათვის ერთდროული საჩუქარი მიეცა და ამ საგნისა კიდეც გაილო თანხა. დღეს გუბერნატორმა ეგ გადაწყვეტილება უარყო. „ბოროტი ენები“ საჩუქრების ამგვარ უბედურობას ვარლამის წაიმას აბრალებენ.

ახლო წარსულში ახალი მოხელის მიღება ეკითხებოდა მოხელეთა კრებულს. დღეს ამ უფლებით, სხვა ბევრ უფლებებთან ერთად მხოლოდ იაკოფია აღჭურვილი. უფლებების გამოყენება კი ქუთათურ „ფარულთა“ მებაირაღტრემ მოხერხებულათ იცის. აი მაგალითებიც. ბუხგალტრის ალაგი მეგობარს მისცა. ერთი გასაუქმებელი ალაგი ხელ-ახლა აღადგინა და გერმანიის მეცნიერებით აღჭურვილი მეგობარი წამოასკუპა ზედ. აქ არსებობდა ქუჩების ერთი მეთვალყურის ალაგი. იმდენათ უსაქმოთ დაბძანდებოდა ეგ ერთი მეთვალყურეც, რომ ლაპარაკი ყოფილა ამ ალაგის გაუქმებაზე. დღეს ფანცხავამ კეთილ ინება და უსაქმო მეთვალყურეს კიდევ მიუმატა ერთი მომხმარე—ბიჭია გიორგობიანი (ვარლამ ფანცხავას სიმამრი). არა, ღვთის წინაშე, რაც ვარლამი უპრავის დიქტატორს სამსახურს უწევს, ასეთი პატარა დავალება იაკობიდან გასაკვირი კი არ არის. „ხელი ხელს ბანს და ორივე პირსაო“, ტყუილათ კი არაა ნათქვამი.

**კიდევ უპრავაზე.** ვიცი შენი გულადობის ამბავი, ეშმაკო, მაგრამ საღამო ჟამს რომ მოგიხდეს ჩვენი ბულვრის ახლოს გავლა შიშით გული გაგისკდება: ისეთი ამბავია, გეგონება მთელი კავკასიის ექსპროპრიატორები აქ მოკრებილანო. ორათ-ორი ფეხიანი სკამია მთელ ბულვარში და აი სწორეთ ეს სკამებია მიზეზი ამგვარი წეწვა გლეჯისა. ბულვარის ერთ კუნჭულში კი მთელი გორაკია შემდგარი დამტვრეული სკამებიდან. ბევრი, მგონი, არაფერი დააკლდება უპრავას, რომ კეთილ ინებოს და ერთი ოცი მანათი გადადოს ამ დამტვრეული სკამების შესაკეთებლათ და მით მოუღოს ბოლო დაუსრულებელ ჩხუბსა და აყალ-მაყალს. მაგრამ მეცა ვარ რაღა!! როდის იყო უპრავა მცხოვრებლებზე ფიქრობდა, დღეს რომ იფიქრონ. ნაძირალებმა ახალ მოდის შანტაჟი შემოიღეს. ბრაუნინგებით თავდასხმა ყველამ იცის დღეს ისე ადვილი აღარ არის, როგორც წინათ იყო. დღეს ერთი დამუქრებით მათ ფულს არავინ აძლევს. უგრძვნიათ ეს ბ-ნთ შანტაჟისტებს და ხალხის ყვლეფის ტაქტიკაც შეუცვლიათ. უშოვნიათ სადღაც ყალბი ფულები და საწყალ სოფლის ხალხზე ასაღებენ. დროც კაი გამოუნახავთ. დღეს იმერეთში პარკობაა. ყოველ კუთხიდან აწყდებიან ქალაქებსა და დაბებს გლეხები. ისედაც ყოველი მხრით შევიწროვებულ ხალხს, ეს ვაჟბატონები კიდევ მეტ შევიწროების მიყენებას უპირებდენ. მაგრამ უმუხდლა ბედმა. პოლიციამ მათ კვალს მიაგნო და ამას წინათ რამოდენიმე მათგანი დააპატიმრა. როგორც გავს, მათ გვარიანი მჭიდრო და ფართო ორგანიზაცია ქონიათ. ამ კვირაშივე სამტრედიაში დაუპატიმრებიათ ერთი უცნობი, რომელსაც 60,000 მ. ყალბი ფული აღმოჩენია. მადაც არ ქონიათ ცუდი, ღვთის წინაშე.

**რუსთა კავშირის წევრი ქუთაისში.** ყველაფერს მოესწრება ცოცხალი კაცი, ქუთათლებიც ესწრებიან რუსთა კავშირის წევრის ხილვას. აქამდე თუ მხოლოდ გაგონებით იცოდენ ცოტა რამ ჭეშმარიტ რუსებზე. დღეს საშუალება მიეცათ თავიანთ თვალით იხილონ ცოცხალი არსება შავრაზმელებთა ჯოგიდან. ამ ბედნიერებას ჩვენ აქაურ ფრანგთა პატერმა გადაგვკიდა. თვითონაც ჭეშმარიტ რუსებზე არა ნაკლებ ჭეშმარიტმა გვამმა ვაჭარ ფეიქაროვს ჯერ ნოქრები დაათხოვია და შემდეგ ადესიდან მათ ნაცვლათ ჭეშმარიტი რუსები გამოაწერია. ჯერ მხოლოდ ერთი ეკზემპლიარი მოუვიდათ. მოელიან სხვებსაც. სხვა ფრანგი ვაჭრები თავიანთი პატრის ჭეშმარიტი ქადაგებით გატაცებულნი, იმედია არ დააგვიანებენ და ფეიქაროვის მაგალითს მიბაძვენ.

**ქეიფი.** ვინ არ იცის, რომ ქუთაისი დღეს დიდ კრიზის განიცდის. უფულობაზე ტირის დღეს აქ დიდიც და პატარაც, ვაჭარიცა და ნოქარიც, მოხელეც და შაგირდიც. მაგრამ არღნის ტრიალი და დუდუკის წუწუნი მაინც მუდამ გესმის. ქეიფობენ დღე, ქეიფობენ ღამეც, „საქართველო ჩვენია“ ს ღრიალი გესმის ბულვარის გარშემოც, გესმის ფერმისკენაც. ხშირი მოვლენაა აქ შუა დღეზე ასეთი სურათი: ეტლი გალეშილ ყმაწვილებით აღსავსე შუა ბაზრიდან მიექანება ფერმისკენ; კოზლაზე ზის ან ლამაზათ გამოწკიპული ჩოხოსანი, ან პანამის ქუდოსან ულვაშებ გადაწკვინტული ყმაწვილი, ან ლურჯ ქუდიანი მოზარდი თაობიდან და მიერეკება ცხენებს. ცრუ მორწმუნეებს ვერ დაარწმუნებ აქ, თუ მოქეიფეებს ღმერთი სიზმარში არ აძლევს ოქროს. და მართლაც, მუშაობა არსადაა (ქეც რომ იყოს ბევრი მოქეიფეთაგანი თავს მაინცა და მაინც დიდათ არ შეიწუხებს) საქეიფო ქანქარს კი შოულობენ. Не сѣютъ, не жнутъ-ო, რომ იტყვიან, სწორეთ მაგათზეა ნათქვამი.

რევიზორი ეშმაკი.

---

## ბათუმის საქმეები.

— ბათუმის საბჭოს დაეკარგა სხვა ხმოსნებთა შორის ხმოსანი გრ. სოლორაშვილიც. ეს ვაჟი საბ-

ქოს კრებებს ხშირათ აკლდება. 16 ივნისს საბჭოს სხდომაზე განსახილველათ იყო საყურადღებო კითხვა „ოცენოჩნი სბორის“ შესახებ. ბ-ნი გრიგოლი კი არსად ჩნდა. ნეტავ სად დაიკარგა? ამბობენ, ყოროლის თავში განისვენებს დიდი შრომისაგან დაღლილ-დაქანცული, გულს ატანს თევზების ჭერას და სოფლის ბუნების ცქერასო. ეს, რა თქმა უნდა, ძლიერ კარგია, მარა თუ სათევზავოთ სცალია, არა უშავდა რა საბჭოს სხდომაზე მისასვლელათაც მიეცალა. კარგი იქნება, რომ მას ერთ მათრახის კუდს წაჰკრავდეთ ულვაშებზე. კარგი იქნება აგრეთვე, რადგან თევზების ჭერა ასე უყვარს, ერთ გამხმარ ტარანსაც გამოუგზავნიდეთ გულზე დასაკიდათ.

— ხმოსან მავროპულოს კი ვეღარაფერი გამოაბრუნებს, ვერც მათრახის კუდი და ვერც მილიონი საწყავი კუდინი. მან 16 ივნისს დიდებულად შესძახა საბჭოს კრებაზე гласни Мдивани всѣхъ насъ хочитъ сдѣлаитъ пролетаріатомъ, хочитъ прибавитъ оценочны сборъ и насъ домовладѣльцевъ разоряитъ... Это животекучи вопросъ. Я говору мнѣніе всего Батума.

ამ სიტყვებით მდივანმა მავროპულო გოგოგოლის იმ ტიპს შეადარა, რომელსაც თავის თავი ესპანიის მეფე ეგონა, მარა მავროპულომ ვერაფერი გაიგო და კიდეც ესიამოვნა: ესპანიის მეფეს შემადარესო.

— ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურე „დაბალზე უფრო მაღალი პირები“ ძლიერ გაჯავრებული არიან „კენტზე“ და „კვინწარზე“. — საქმე გაგვიჰივრეს ამ წყეულებმა, ჩვენ საგმირო საქმეებს ააშკარავებენო. წინადადებას იძლევიან მოისპოს „ეშმაკის მათრახის“ გამოცემა და სამაგიეროთ ყოველდღე გამოიცეს „ნიშადური“.

იაძე

ეშმაკის მოგზაურობიდან.

(გაგრძელება)

მეორე დღეს ქრისტეს ამაღლებისა, ეშმაკი ბათუმ ქალაქის ნავთ-სადგურში ენახათ ზღვაზე მოცურავე. როგორც გამოირკვა მას განზრახვა ჰქონდა გაეგო „ბერეგის“ მუშათა მდგომარეობა, მაგრამ როცა გააფრთხილეს: „მათი ამბის გაგება სამ ფუთ სისხლს გაგიფუჭებსო,“ ისიც დაეხსნა ამ სახიფათო საქმეს. „უთანხმოება და გახრწნილება რეაქციის ღვიძლი შვილები არიანო“ განაცხადა მან.

23 მაისისათვის ეშმაკმა ფრიად სახიფათო საქმე განიზრახა. მას სურდა ქალაქის სამმართველო და უმთავრესათ კასსა დაეთვალიერებია. ოთხ ფეხა და ორ-ფეხა ვირთხების მოსაგერებლათ გადასწყვიტა თან ერთი გამოცდილი კატა წაეყვანა, თუმცა საქმე არც უკატობას დაუბრკოლებია.

ქალაქის თავის ასავალ დასავალი ბათუმში თითქმის არავინ არ იცოდა, რადგან პეტერბურგამდე რამდენი ქალაქია და ვინ იცის სად იქნება გარჩენილიო. წარმოიდგინეთ ეს არც ბათუმის საინვენტარო ცოცხალ წიგნში ეწერა.

ცოცხალი ინვენტარი, ეს ბათუმის თვითმართველობის მოგონილი მანქანაა, რომლის შესახებ მე არ გავაგრძელებ სიტყვას, რადგან ამ საუცხოვო მანქანის შესახებ ახლო მომავალში ბ-ნი ბლიაკვაძე წაიკითხავს ვრცელსა და საინტერესო მოხსენებას. ეშმაკს ძლიერ მოეწონა, რომ სამშობლო კუთხის მოღვაწეებს ასეთი სახელი რომ მოუგონიათ.

რადგანაც ინვენტარის წიგნი ამ დღეს ავათ იყო და გარაშე იმისა არავინ იცოდა თვით ქალაქის კასის არსებობაც კი, ეშმაკი იძულებული გახდა „კუდინის“ რამოდენიმე წვეთით ინვენტარის წიგნი განეკურნა. ასეც მოხდა.

წარმოიდგინეთ ეშმაკის გაკვირვება, როცა ქალაქის კასაში რამოდენიმე პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი დახვდა დურბინდებით აღჭურვილნი ყველა ჭუჭრუტანებს გულ-მოდგინეთ ათვალიერებდენ, მაგრამ ვირთხების შიშით ხელის ჩაყოფა ძლიერ ეშინოდათ. როგორც გამოირკვა ისინი გასული თვისა თუ გასული წლის ჯამაგირებს ეძებდენ, მაგრამ რასაკვირველია ეძებდენ ამაოთ.

— ასეთი სცარიელე არც თომა პუსას თავში იქნებაო, განაცხადა ეშმაკმა და განშორდა კასას.

თვითმართველობის მსახურები თითქოს გრძნობდენ ეშმაკის სიახლოვესა და პირ-საცოდებულნი ენასა თვისსა იკავებდენ, რამეთუ სასირცხო არა წარსცდენოდა ბაგეთა მათთა.

არც ეგრეთ წოდებულ „ბოლნიცისათვის“ და არც ბათუმის ციხისათვის ეშმაკს ყურადღება არ მიუქცევია, ვინაიდან ის სხვა განზრახვას ატარებდა გულში. მას უნდოდა გაეგო, თუ რა მიზეზია, რომ ინჟენერი მიხაილოვი ასე ულმერთოთ სტანჯავს ხალხს და შავი ზღვის პირათ უწყლობით არჩობსო. მესამე წელიწადია თურმე რაც ის ინჟენერი წყლის მილებს ხან ჩაჭყერის მიწაში და ხან ამოჭყერის ზევით, რისთვისაც მის დამთავრებას დასასრული აღარ დაადგა მთელი უბნები ხახა-მშრალი დარბოდენ სასმელი წყლისათვის ერთი ვერსის მანძილზე და ვერც იქ შოულობდენ. ეშმაკმა ინახულა ის ინჟინერი, მაგრამ რა უთხრა ან როგორ მოექცა, ჯერ-ჯერობით ამის გამომჟღავნება სასტიკათ აკრძალა.

გიმნაზიის დირექტორთან განზრახული აუდენცია არ შესდგა. ეშმაკს უნდოდა მოეხსენებია მათი მაღალ-კეთილშობილებისათვის, რომ ერთი სულელი ემაწვილისათვის ასი და ორასი არ უნდა დაისაჯოსო, მაგრამ როგორც გაიგო ეს მთლათ მათი მაღალ კეთილ-შობილების მიზეზით არ მომხდარა და თითონაც თავი გაანება.

არ შესულა ბ-ნი ეშმაკი არც ადგილობრივ გაზეთის რედაქციაში, რადგან გააფრთხილეს რედაქტორი ცოტათ თუ ბევრათ მუშტის კაციაო და ვინ იცის იქნებ თქვენც რაიმე აგიტეხოსო.

ასე და ამგვარათ უკვე მიმკვდარებულსა და მიძინებულ ქალაქ ბათუმში ეშმაკმა დაჰყო სამიოდ დღე და მეოთხეზე ჩქარი მატარებლით ოზურგეთისკენ მიემგზავრებოდა.

მდივანი ეშმაკი,

(ვნახოთ რა შეემთხვა)




**ნიკო ალმაშენებელი და ვალების პირამიდა.**

**ნიკო.** რამ გახადა ეს ქვეყანა
ასე კაცის უნახავათ?!.
ქალაქში თუ დამიგულეს
ყველგან მე მნიშნავენ თავათ!..
ან ნიჭი კი მომიჭარბებს
ან, სხვა რამ მაქვს მიმზიდველი,
რომ სამოთხე გამომიდის
თუ კი გავანძრიე ხელი.
„პაროვოზის“ ძეგლს დამიდგმენ
თუა ქვეყნათ სამართალი,
თუმცა სოხუმს საგრძნობელი
დავატეხე თავზე ვალი.

*

---

**ბ უ დ ა.**

სიზმრათ ვნახე ამტყდარიყო
საზარელი ქარიშხალი,
ტყეებს თავი გაეფაფრათ
და გაქონდათ მთებს გრიალი·
აქოჩრილ ზღვას აეტეხა
კივილი და ღრიანცელი,
ცას და მიწას აერთებდა
ღრუბელი და ნისლი ბნელი.

ამ ბურუსში უცბათ გაჩნდა
პაწაწინა ნაპერწკალი,
ის გაღვივდა, გაფართოვდა,
აგუზგუზდა დიდი ალი.
მან გაფანტა ის ბურუსი,
ცას ღრუბელი გადაჰყარა,
მზე გამოჩნდა და ბუნებამ
მოილხინა, გაიხარა!

გამეღვიძა და ამ სიზმრის
ხსოვნა გულში ჩავიქედე,
და აწმყოთი გულნატკენმა
თავი ასე ვაიმედე:
რა გინდ მოხდეს მე მაინც მრწამს!
არ შედრკება ჩემი გული!
იმ ნაპერწკლის მსგავსი არის
ჩემი ბედი დაჩაგრული!
რის მოთმენა? რის ყოყმანი?
ბრძოლა უნდა გაბედული!
„დე შუბლს ოფლის ღვარი რწყავდეს
და მკერდს სისხლის ნაკადული“!..

ნ. ზომლეთელი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა




## კანტი და ლაპლასი მღვდ. სიმონ ჭელიძის ლაბორატორიაში.

ქუთათურ ქურუმ-„პოვეტებს“
„შინაურ საქმეთ“ მდევებსა
სისულელ-მიდრეკილობას
უფალი მიუტევებსა.

განგება გაასხივოსნებს
მრჩობლ ნაკურთხ მათსა თავებსა
უმეცრებისა ყვავილით
ათას ფრად შენაზავესა,

რომ „იქი-ბოქი“ გაიგონ
ლაპლასისა და კანტისა
რითაც უმეცარ გოგრათა
სიბნელე გაიფანტისა.

ჰმ!



## საპრემიო გამოცანა
(გურულ კილოზე)

ქუთათური ცხოველია:
არც იქომა, არც ისომა,
არც საგებათ დაიგეჲის.
არკა ტანზე ჩაიცომა.
ოთხფეხში მით გამოარჩევ,
რომ ორ ფეხზე იცის დგომა;
ჩაბალახით თავს იკონავს
ზამთარ-ზაფხულ-შემოდგომა..:
გრძელ წვერას და წვერ ქაღარას
ჯოხის ცხენზე უყვარს ჯდომა;
ბულვარის და ბალახვანის
ზედ-მიწევნით იცის ზომა...
ქარაფშუტა ოხუნჯობით
ის აროდეს განიძღომა,
ჩვეულებათ გახდომია
ურცხვს, სცენაზე გამოხტომა,
მაგრამ რეთიც ისულელოს
ვერ მოგგვაროს გულის წყრომა.
იმერული ხრიკოსნობით
იცის შეძრომ გამოძრომა
და „ნიშადურ“ სურნელოვანს
ახლოს არც-კი მიედგომა.
ქარაფშუტა მატრაკვეცის
უტყუარი არის ზომა
ვინც პირველი გამოიცნობს
დაუფასდეს იმას შრომა.

—კი.

## ვუძღვნი ბ. ჩ—ვილს

გულით გამაგრდი სულით ამაღლდი
და აიტანე ტყვეობა გმირო,
რომ მაგალითი შენი მხნეობით
მოსისხლე მტრებიც კი გააკვირო.
თუმცა გვხდა წილათ გოლგოთაზედა
შენ აიტანო წამების ჯვარი,
მაგრამ გრწამდეს რომ ჩაგრულთა გულში
ხარ, და იქნები დაუვიწყარი...
გრწამდეს წასული მომავალ აარს
იეორეთ მოსვლა გვიახლოვდება
და გოლიათი ძალ ღონეს იკრებს
დასჭექს, იგრგვინებს, მკვდრეთით აღსდგება
დალეწს ბორკილებს, გაარღვევს ზღუდეს
ბასტილიასა შეუნგრევს კარებს,
გმირს მშობლიურათ ჩაგიკრავს გულში
ლხინათ შეგიცვლის შენ სიმწუხარეს

ვ. ჭყონია.

## სოფლის ცხოვრებიდან.

I

მიდის გლახუნა თავჩაქინდრული,
ზურგზე ტომარი გადუკიდია,
თავი წაუკრავს რაღაცა ძონძით;
წუღიდან უჩანს ფეხის თითია.

ძლივსა იმალავს ტანის სიტიტვლეს
სულ დაფხრეწილის ახალოხ-ჩოხით,
მიდის მუშაკი შუბლ დაღარული
მარჯვენა ხელში დიდ შინდის ჯოხით.

აღარ უცინის სახე ჭაღარას,
წელში მოხრილი გზას გადგომია,
ახალგაზრდობის სიმკვირცხლე ლაღი
დღეს ხანში შესულს თავს დაკვდომია.

აღარ შეხარის ის ძველებურათ:
ცას, დედამიწას, ტოლ-ამხანაგებს,
აღარ უტოკავს სული და გული
მრავალგზით ნაშრომს' ბევრჯელ ნაძაგებს.

თუმც მზემ პირველი თავის სხივები
დაუდალავთ პირს მიაყარა,
მიუალერსა, ჩაკოცნა მარდათ
და გადვიძება ქვეყნის ახარა.

მარა გლახუნას ეს არ უგვრძნია,
არ მიუცია სალამი მზისთვის. .
ის შავ ფიქრებში სწრაფად ცურავდა
და მიდიოდა ჩუმათ თავისთვის...

აი წინ უდგას თავის ოჯახი:
ხუთი ქალ-ვაჟი მეექვსე ცოლი,
მეუღლე ღირსი, დაუღალავი
ლუკმა-პურისთვის მასთან მებრძოლი.

ხედავს გლახუნა ამ დილით ადრე
ყველა ამათმა რომ გაადვიძეს
და სიმინდისთვის დღეს საყიდელათ
უკანასკნელი გროში მას მისცეს...

თან ესმის მა`ას შვილების ხვეწნა:
მალე დაბრუნდეს, არ დაახანოს,
ორი დღე ნაკლებ ბალახ-ბულახით
მჭადი მოგვაროს და გაახაროს...

ჯერ კიდევ ესმის ცოლის სიტყვები:
დღეს სადილისთვის მოგვასწარიო,
აგერ ორი დღის უჭმელები ვართ
ხომ ხედავს გვადგას დღე ჩვენ მწარიო...

მიდის გლახუნა, თან მიაქვს უბით
ჩვრებით შეკრული მანეთი ერთი,
ხშირად გასინჯავს, რომ არ დაკარგოს
ეს მიწიერი „პატარა ღმერთი".

ორი დღე სხვისას თოხნიდა ქირით
და იქ აიღო ეს ორი გროში,
თავის ყანა კი სულ გაუფუჭდა:
ვერ გამოარჩევთ ველს და მინდორში...

ასე ჭირს საწყალს სულ ყოველ წლობით:
უბალახდება თავისი ყანა,
მჭადის ფულისთვის ის სხვისას თოხნის,
სარჩო ვეროდეს ვერ მოიყვანა.

და ყოველ წლობით ასე დადოდავს
მხარზე ტომარით ჩვენი გლახუნა...
ვალიანდება, ჩარჩს უვარდება,
მწარე ცხოვრებამ წელში გადუნა..:

ვ. მალაქაშვილი:

(შემდეგი იქნება)

## წერილები ეშმაკისადმი.

### თფილისიდან

**დიდუბე.** ეშმაკო ჯან, შენი ქება
რომ არა ვსთქვა არ იქნება,
რომ ჭკუაზე მოიყვანა
ვინც სუსხი შენი იგემა.

ეხლა მეც გთხოვ გენაცვალე
მოცუნცულდე დიდუბეში
და გაფიცებ ტ-რტაროზსა
შეიჭვრიტე ყველა „დვერში."

შემდეგ თუ ღმერთმა ინება
და დაგიდგა კარგი დარი,
შენი ზურგის ასაწველი
მეპოვოსკეებს გაჰკარი.

უთხარ ასე გიჟებივით
ნუ აჭენებენ ცხენებსა,
რომ გამვლელებს მათი შიშით
აცივებს და აცხელებსა.

(რომ გვერდები თითქმის ყველას
შეატყავეს შეაფცქვნესა,
ისტორია დააფასებს
ვინც ამ გმირებს შეარცხვენსა)

შემდეგ, ძამია, შენ იცი
თუ ინახულებ სანდროსა,
ვინძლო ვერ ნახო გაჩვენებ
ადრესით მისსა სადგომსა.

შერემეტევის ქუჩაზე
დაბალი სახლი რომ დგასა,
სავაჭრო ბინა იქა აქვს
ხშირათ წინ ღვინო უდგასა.

ბოგუნი.

—

საჭიროა „სევერნი ნომრებში" შემოსვლა და და იქაურ მოსამსახურეების შემათრახება, რადგან კარტის თამაშმა ძალიან გაიტაცა და სხვა ყველაფერი დაივიწყეს.

კოტე.

—

**ნაძალადევი.** ეშმაკო! ჯერეთ ვერ იცნობ,
სახლის პატრონსა სონასა,
ვინც „ხაზეინკას" უწოდებს,
მიართმევს ვარდის კონასა.

მიუხვდენ მისი დგმურები,
დღეს ყველა გაფიცულია,
„ხაზეინკას" არ უხმობენ,
ამაზე მოსდის გულია!

გაანჩხლდა, გადაიმასქნდა,
სიცხე აქვს უნელებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა შენა ხარ „სონიჩკას“
დამხსნელი, გამკურნებელი!
თან წამოიღე კუდინი,
(სუსტია), სამი ფლაკონი,
გადაუჭირე მათრახი,
მოარბევინე ბალკონი!..
რომ მობრუნდები, შეგხვდება,
დათიკო; (მიკიტანია)
ჩასხმული, ჩასუქებული,
აქ ვაჭრობს კარგა ხანია.
პოლიციაში, ამ სულელს,
ამბავი მიუტანია:
„ჩემ ბიჭსო, ჩემი სახლიდან,
ქვაბები გაუტანია“.
მიატყეპინა უბრალო,
პატარა-ბიჭი, ატირა,
გვეცოდებოდა საწყალი,
სულ „ვაი-დედა“ აყვირა!
დათიკოს „რევმატიზმა“ აქვს,
ეშმაკო, გებრალებოდეს,
იმდენი ურტყი მათრახი,
„კმარაო!“ გეხვეწებოდეს!..

შმაგა.

—

## პროვინციიდან.

**სამტრედიის დაბა-რაიონი.** მას შემდეგ, რაც „ედემის“ ბაღში უსიამოვნება მოუვიდათ აქაურ წესიერების დამცველებს ბაღში ყალბი ქანქრის სუნი აღარ სდგას.

— ამას წინათ „შანტაჟისტების“ მიერ მოტაცებული ამხანაგი კოწია ლეკვეიშვილი, როგორც იტყობინებიან ცოცხალი უპოვიათ „გუბის“ პლატფორმის მახლობლათ „არლანის“ ყუთში ჩამწყვდეული. გამოძიება სწარმოებს.

— აქაური „სიბინძურის კომისია“ ორი დღის მოღვაწეობის შემდეგ სადათას ძილს მიეცა. მგონი ურიგო არ იქნება ადგილობრივ ვაჭრები რომ შეუდგებოდნენ ამათ გამოღვიძებას.

— ჩვენი სამკითხველო ჯერ-ჯეროპით კარგათ გრძნობს თავს თუ რომ ზოგიერთმა ვაჭრებმა და დეპუტატებმა არ შეაწუხეს.

— აქაურ ჟურნალ-გაზეთების დამტარებლებს გადაუწყვეტიათ მოიწვიონ თფილისიდან ცნობილი ვინმე კარტის და კამათლის მცოდნე პირი და გამართონ კვირაში ორჯერ ლექცია. ვისაც სურს ლექციის მოსმენა მიმართოს ტოროჯაძის სამიკიტნოში. შესვლა უფასოა.

— როგორც სოფ. დიდი ჯიხაიშიდან გვატყობინებენ ადგილობრივ მცხოვრებლებს გადაუწყვეტიათ ბოიკოტი გამოუცხადონ რაჟდენს და იოსებს. მიზეზი ის ყოფილა თურმე რომ ამას წინათ ჩხუბი მოუვიდათ და უდანაშაულოთ სცემეს „რაფიელს და წესიერების დამცველებს“.

ფრიალეთი.

—

**გორი.** გაუწყებთ სასიამოვნო ამბავს. ყველასაგან მივიწყებულს გორში დაარსდა „თავისუფალ სიყვარულის ლიგა“. თუ ამდენ ხანს რუსეთის სხვა კუთხეებზე ჩამორჩენილი იყო გორი, ეხლა ამ კულტურულ დაწესებულებით მაინც შეუძლია ისახელოს თავი. რადგან „ლიგას“ ჯერ ჯერობით საკუთარი სახლი არა აქვს, კრებებს ქალაქის ბაღში მართავენ. ქალაქმა დიდის სიამოვნებით დაუთმო. ერთი სიტყვით გორმა შესამჩნევათ წინ წაიწია, იმატა ლოთობამ, ჩხუბმა და ქორიკანობამ. ასე, რომ გორმა მალე მგონია თფილისსაც წინ გაუსწროს.

ეშმაკოვიჩი.

—

**ს. აცანა.** აქაურ სცენის მოყვარეთ
დღე დაუდგათ ძლიერ გლახა,
რადგან დიმიტრი კვაჭაძემ
გაძოლანძლა, გააბახა.
მათ უწოდა გარყვნილება
და სხვა ბევრი სიტყვა ცუდი
და ვფიქრობთ, რომ არც დიმიტრის
აწყენს მათრახისა კუდი.
სილიბისტრო, მამა მღვდელი
არ დატოვო უნახავი,
მასთან ბევრი ამბებია,
მრევლისაგან საკითხავი.
სამრეკლოის ასაგებათ
ხუთას მანათამდის ფული,
ღარიბ ხალხის გადახდილი
სთქვას რაში აქვს დახარჯული?
მთელ ერთ კუთხეს ტყეს რომ ართმევს
აქ ბრძანდება ის მართალი?
თუ სიმართლე მისკენ იყოს,
რათ სძულს ხალხის სამართალი?
ოთხი საქმე სხვაც მიუძღვის
ეშმაკ თქვენ ნუ მომიკვდებით!
და შეეხეთ ნაკურთხ ზურგზე
მოკრძალვით და მორიდებით.
ავათმყოფთანც შეუხვიე,
თუ დაგიხვდეს კარი ღია,
ერთი ჰკითხე, თუ ღმერთი გწამს
წესდება რათ დაგვირღვია.
ჰკითხე მხოლოდ ისე ნელა,
რომ არ მოუვიდეს გული!
რომ შენც ისე არ გიყვიროს,
სხვებთან როა დაჩვეული.

ისკანდერ.

—

**ბაქო.** ბალახანის ქუჩაზე, „აბაშიძის“ დუქანში, ქართველთა ჯგუფი მუდამ ჟამს კარტის თამაშს ეწევა სამშობლოს საკეთილდღეოთ.

— იქ თუ კარტს თამაშობენ, სამაგიეროთ „კრასნავოდსკი“ ქუჩაზე სასტუმრო „ფრანციაში“ სქელი ბარძიმა, ვალიკო და ალექსანდრე, მოსვენებას არ აძლევენ აქაურ მომუშავე ამხანაგებს, და

სურთ ფეხ-ქვეშ გათელონ ის უფლებები, რომლებიც მათ დღემდის შერჩენიათ. პირველსაც და მეორესაც მათრახი ძალიან მოუხდება.

ბაში-აჩუკი.

—

**ალექსანდროპოლი.** სილოვან ხუჭუამ მიყო ხელი შემდეგ აგიტაციას: „ამხანაგებო, შავ-რაზმელებო, გამაგრდით, არ შეგეშინოთ მათრახის კუდის, მაგი ვერას დაგვაკლებს მუშების გაყვლეფას, დღეს საჭიროა შევკრათ ბლოკი და შეუგნებელ მუშებს სული ამოვსწვადოთ, ჯერ კიდევ დრო გვაქვს რადგან თლათ გავრცელებული არ არის მათრახის კუდის გემო, თუმცა ჩემამდე მოახწია, მაგრამ მე ავტორს წინა წერილისას შევიყიდი კვერცხით, ქათმებით და მერმე არ მოგვხდებათ მათრახის კუდი“.

სიკო სამტრედიელი.



ერთობის ხალხი.

(იხ. „ეშმ. მათ.“ № 35)

(გაგრძელება)

გამოსვლა მეხუთე

**იგინივე და თედო.**

**თედო.**—(შავი ფიჯაკი და შალვარი აცვია, ახალგაზრდაა, წვერ მოპარსული. მრისხანე სახე აქვს. კარებს ნელა მიხურავს და იქვე გაჩერდება. ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს. ხმას არ იღებს)

**ბესო** -(შეშინებული უყურებს. თავისთვის) ეხლა აღარ ვიცი საით გავიპარო.

**თედო.**—(გაჯავრებული შუბღვერს) რაო?

**ბესო.**—ვაიმე!

**სამს.**—(თედოს) რა გნებავთ?

**თედ.**—(გაჯავრებული) რა მნებავს რომელია?! განა არ იცით რა მნებავს?

**ვიქტ.**—რატომ მაინცა და მაინც უნდა ვიცოდეთ რა გნებავთ?

**თედო**—(შეუბღვერს) ძალიან კარგათ იცით! ძალიან კარგათ! ამ ერთ კვირაში მეათე ჯერ არის აქ რომ მოვედი.

**ბესო.**—(მოწიწებით) ბრძანეთ რა გნებავთ?

**თედო.** (მივა ახლოს ბესოსთან და მრისხანეთ მაგიდაზე ხელს დაკრავს) რა მნებავს? განა არ იცით რა მნებავს? დამცინით?!

**ბესო.**—(შეშინებული) ღმერთო მიშველე! ეხლა კი ველარ გადავურჩები!

**თედო**—( artყამს მაგიდაზე ხელს) რაო? რაო?

**ბესო.**—არაფერი, ისე ჩემთვის ვლაპარაკობ.

**თედო**—ჩემთვის ვლაპარაკობ რომელია?! განა მე კაცათ არა მთვლით, რომ პასუხის ღირსიც არ გამხადეთ?

**ბესო.**—(მოწიწებით) როგორ არა, ბატონო, როგორ არა. კაცათ როგორ არა გთვლით? მაგას რათ ბრძანებთ?

**თედო.**—რათ ბრძანებ, რომელია?! მე პოეტი ვარ პოეტი და თქვენ არ გინდათ მიცნოთ.

**ვიქტ.**—(იცინის) პოეტი?!

**თედო**—(შეუბღვერს) დიახ, პოეტი, უნიჭიერესი პოეტი, დღეში ათამდე ლექსებს ვწერ.

**ნიკ.**—(გაკვირვებით თავისთვის) რა ფიცხი კაცია!

**თედო**—(შეუბღვერს ნიკიფორეს) რაო?

**ნიკ.**—(შეშინებული) ვაიმე! (თედოს) არაფერი, რაღაც წირვის წესიდან გამახსენდა.

**სამს.**—(წამოდგება და მიმართავს თედოს ენერგიულათ) აქ ყმაწვილო სალაყბო არ არის ჩვენ საქმე გვაქვს, ბრძანეთ თუ რამე გინდათ და წაბრძანდით.

**თედო**—(მრისხანეთ) წაბრძანდით რომელია? აქედან ფეხს არ მოვიცლი თუ გადაჭრილი პასუხი არ მომეცით.

**სამს.**—რა გნებავთ ყმაწვილო არ იტყვით?

**თედო**—არ იტყვით რომელია? ვიტყვი და მეტსაც ვიზამ.

**სამს.**—აბა ღვთის გულისათვის ჩქარა გვითხარი რაშია საქმე.

**ბესო**—ბრძანეთ.

**ვიქ.**—აბა ბრძანეთ ყველანი ყურს გიგდებთ.

**თედო**—(მრისხანეთ) ყურს მიგდებ რომელია?

**ნიკ.**—(შეშინებული პირჯვარს იწერს) ღმერთო შემეწიე!

**თედო**—(შეუბღვერს ნიკიფორეს) რაო?! რაო?!

**ნიკ.**—(მოკრძალებით) არაფერი, ბატონო, დამამთქნარა.

**სამს.**—არ იტყვით ყმაწვილო?

**თედო**—(მაგიდაზე ხელს არტყამს) ვიტყვი, დიახ ვიტყვი. მითხარით ერთი რა მიზეზია ამდენი ლექსები მომიტანია და ერთსაც არ მიბეჭდავთ? არც მიზეზს მეუბნებით. სხვას თუ ბეჭდავთ, მე რატომ არ მიბეჭდავთ.

**სამს.**—(სიცილით) ლექსები?! (ბესო და ვიქტ. ჩუმათ იცინიან)

**თედო**—(ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს) რა გაცინებთ? სასაცილო რა არის აქ? არა ეს მოსათმენია? ამდენი ხანია პასუხსაც ვერ ვღირსე?

**სამს.**—(მივა ახლოს და გაჯავრებით) მგონია

გაიგეთ ყმაწვილო, რომ ჩვენ მოცლილი ხალხი არა ვართ, საქმე გვაქს. რა გნებავთ თქვენ გაიგოთ?

**თედო.**—(ყვირის) მოცლილი ხალხი რომელია? განა მე მოცლილი ვარ?! სამუშაოზე მოვცდი და წამოვედი, რომ გავიგო თქვენგან გადაჭრილი პასუხი. მოცლილი ხალხი თქვენ ხართ.

**სამს.** (გადაჭრით) უკანასკნელათ გეუბნებით სთქვათ რას თხოულობთ ჩვენგან?

**თედო.** (მრისხანეთ) რას ვთხოულობ და უნდა გამაგებინოთ რა მიზეზია ჩემს ლექსებს რომ არ ბეჭდავთ?

**სამს.** (ენერგიულათ) ეს გინდათ გაიგოთ? აი ჩვენი პასუხი—თქვენი ლექსები ყოვლად უვარგისია.

**თედო.** (გაბრაზებული უყვირის) რაო? რაო? ჩემი ლექსები უვარგისია? მე პოეტი არა ვარ?! თქვენ არ გინდათ მე პოეტათ მიცნოთ?! ჩემი ლექსები არ ვარგა? (მოუბრუნდება ბესოს და მაგიდაზე ხელს დაარტყამს) ჩემი ლექსები არ ვარგა?!

**ბესო.** (შეშინებული წამოდგება) ჰმ ..ჰმ...თქვენი ლექსები?.. ჰმ!..

**სამს.** სთქვი კაცო, რის გეშინია?

**თედო.** რაო? რაო? რის გეშინია რომელია? ჩემი ლექსები არ ვარგა?!

**ბესო.** (ყოყმანით) ჰმ... თქვენი ლექსები...ჰმ... ჰმ... ცოტათი კოჭლობენ...ჰმ...

**თედო.** (მაგიდაზე ხელს არტყამს) რაო? რაო? ჩემი ლექსები კოჭლობენ?!

**ვიქტ.** კოჭლობენ კი არა მეტიც არის, თქვენ პოეტი არა ხართ.

**თედო.** (გაბრაზებით) რაო? რაო? მე პოეტი არა ვარ? მე პოეტი არა ვარ? (მიუბრუნდება ნიკიფორეს) ჩემი ლექსები არ ვარგა?

**ნიკ.** (შეშინებული მიბრუნდ-მობრუნდება სკამზე) დიახ..· თქვენ...

**თედო.** (შეუბღვერს) რაო? რაო?

**სამს.** (გაჯავრებით) გთხოვთ ზრდილობიანათ მოიქცეთ. პასუხი უკვე მიიღეთ და სხვა რაღა გინდათ?

**თედო.** არა მე პოეტი არა ვარ? ჩემი ლექსები არ ვარგა?

**სამს.** (უყვირის) დაიჯერე ძმაო, რომ არა ხარ პოეტი არა! არა! და გირჩევთ ლექსების წერას თავი დაანებოთ და რამე წაიკითხოთ.

**თედო.** (მაგიდაზე ხელს არტყამს). მე პოეტი ვარ, პოეტი, თქვენ არ გინდათ მიცნოთ პოეტათ, რომ მე პოეტი ვარ. როცა თავი შემიხურდება და გული ძგერას დამიწყებს ისეთ ლექსებს ვწერ, რომ ავაზაკსაც აატირებს. თქვენ გშურთ ჩემი პოეტობა, თქვენ არ გინდათ დამიბეჭდოთ ჩემი ლექსები. მე პოეტი არა ვარ?

**სამს.** დაიჯერე რომ არა ხარ ძმაო პოეტი, არა, არა!

**თედო.** მე პოეტი ვარ, პოეტი.

**სამს.** (მივა ბესოს მაგიდასთან გამოაღებს უჯრას, ამოიღებს ქაღალდებს და აძლევს თედოს) რა კა არ გჯერათ ამოარჩიეთ, რომელიც საუკეთესოა ამ თქვენ ლექსში და წაგვიკითხეთ ერთი პოეტურათ, მაშვინ თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ამ ლექსის დაბეჭდვა არ შეიძლება და თქვენ პოეტი არა ხართ.

**თედო.** (გამოართმევს ქაღალდებს) პოეტი ვარ, პოეტი. აბა ვნახოთ. (გამოარჩევს ქაღალდებში ერთს და კითხულობს ხმა მაღლა და ხელების შლით ტრაგიკულათ)

„**სატრფოს**: როდესაც სევდა შემომაწვება
ვფშვინავ ვითარცა ვერული ტახი,

**ვიქ.** (თავს ძლივს იმაგრებს) ტახი! (იცინის)

**თედო.** (შეუბღვერს ბიქტორს და განაგრძობს)

ფიქრების გროვა აღარ მასვენებს
თავი მძიმდება ვით დიდი კვახი.

**ბესო.** (ჩუმათ იცინის) მშვენიერებაა მშვენიერება! განაგრძეთ!

**სამს.** (მივა და თავის ადგილზე დაჯდება) აბა, განაგრძეთ!

**თედო.** (გათამამებული, ხმა მაღლა)

როცა ჩემს ახლოს მყუდროებაა
არსით არ ისმის არვის ჭყავილი,
დიადი აზრი თავს გამიელვებს
ამივარდება ზურგის ქავილი!

**ბესო.** (მუცელზე ხელები მოუჭერია და ძალზე იცინას. ჩუმათ თავისთვის) „არვის ჭყავილი, ზურგის ქავილი“ ოჰ! რა ნაზი, პოეტური ნაწარმოებია? (იცინის)

**თედო.** (შეუბღვერს) რაო? რაო?

**ბესო.** არაფერი. მშვენიერებაა!

**სამს.** (სიცილით) აი პოეტი!

**თედო.** (განაგრძობს)

როცა ნერვები ამეფუშება
აღარ მასვენებს ტვინის ლიტინი,
უიმედობით თავსა ვაქანებ
ხან უშნოთ ვბღავი და ხან ვიცინი.
როცა შუადღისას ცას ლაჟვარდოვანს,
რგვალათ გაეკვრის ყვითელი მთვარე,
გული მიბორგავს, სული მიშფოთავს
ვზმუი ვით ძროხა წყალის მთხ·ვარე.

**ვიქტ.** მართლა პოეტი ყოფილა და ჩვენ კი არ დავუჯერეთ.

**თედო.** (მხიარულათ) მაშ, რა გეგონათ. (განაგრძობს):

მაშინ მხოლოთ შენ მახსოვხარ
ჩემო სულო ჩემო გულო,
მთელ ქვეყანას განაცვალებ
ჩემო გამოშტერებულო.

(გაათავებს კითხვას და გაყოყოჩებული ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს. ყველანი გულიანათ ხარხარებენ, ნიკიფორეც იცინის)

**სამს.** ბრავო! ბრავო! დიდი პოეტური ნაწარმოებია. ყველაზე მეტათ უკანასკნელი სიტყვა მომეწონა. ეს ერთი სიტყვა მთელ ლექსათ ღირს.

**ვიქტ.** (სიცილით) უკანასკნელი სიტყვა მართლაც რომ ნამდვილი პოეტური ნაწარმოებია.

**ბესო.** (სიცილით) მეც ძალიან მომეწონა.

**სამს.** (სერიოზულათ) ჩემის აზრით ეს ლექსი გაზეთისთვის არ ვარგა, კარგი იქნება ცალკე წიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათ გამოსცემდეთ და უკანასკნელ ტაეპს თავის თავს უძღვნიდეთ. სხვისთვის გასამეტებელი არ არის სწორე გითხრათ (იცინის. ყველანი იცინიან)

**თედო.** (გულნატკენათ) არა, თქვენ არ გინდათ დამიბეჭდოთ, თორემ გაზეთისთვის საუცხოვო იქნება. (გადაშლის ქაღალდებს) მაშ აი ეს მეორე ლექსი დამიბეჭდეთ, ამას საზოგადო ხასიათი აქვს. (უნდა დაიწყოს კითხვა)

**სამს.** გირჩევთ ეს ლექსიც ცალკე წიგნათ გამოუშვათ. ჩვენ ეხლა არა გვცალია თორემ დიდის სიამოვნებით მოვისმენდით.

**თედო.** არა, არ შეიძლება, უსათუოდ უნდა წავიკითხო, უნდა დაგიმტკიცო მე თქვენ რომ პოეტი ვარ.

**ვიქტ.** (სამსონს) დაანებე კაცო თავი წაიკითხოს და შემდეგ იქნება მოგვწყდეს თავიდან (თედოს) აბა წაიკითხეთ.

**თედო.** (კითხულობს ხმა მაღლა)

**„ხუცის ლექსი“** (ნიკიფორე მოიღრუბლება)

„ხუცესი ვიყავ, ხუცუკა
ივანე ხუცუკელაო,
დილით წირვაზე წაველი
გამიჩნდა უცუნელაო

**ნიკიფ.** (მოუსვენრობა ეტყობა, მიბრუნდ-მობრუნდება სკამზე და ჩაახველებს) ბიჭოს!

**თედო.** (შეუბღვერს ნიკიფორეს და განაგრძობს)

ხუცესი ვიყავ ხუცუკა,
თმა გრძელი, წვერებ ცანცარა,
ლომ-ხარჩო, ქათამ-ინდაურს
ვყლაპავდი ძრიელ ჩქარ ჩქარა...

**ნიკ.** (ვეღარ ისვენებს სკამზე. ხშირ-ხშირათ ახველებს) ბიჭოს! ბიჭოს!

**თედო.** (მიუბრუნდება და შეუბღვერს) ზაჰრუმა!

**ნიკ.** (წამოიწევს და ისევ დაჯდება აღარ იცის რა ქნას) ვაიმე!

**თედო.** ღვთის ცეცხლი!

**ნიკ.** (შიშისა და სიბრაზისაგან თვალებს აბრიალებს, აქეთ-იქით ტრიალებს სკამზე) ბიჭოს! ეს რა მესმის? ბიჭოს!

**თედო.** (შეუბღვერს) ნუ მიშლით! (ბესო, სამსონ და ვიქტორ სიცილით იხოცებიან).

**თედო.** (განაგრძობს):

ხუცესი ვიყავ ხუცუკა
ჭკვა მოკლე, წვერებ გძელია...

**ნიკ.** (სკამიდან წამოდგება, უხერხულ მდგომარეობაშია, მეტათ აღელვებულია) არა ეს მოსათმენია?! ღმერთო დიდებულო რა მესმის?! რას ამბობს ეს შეჩვენებული, როგორ მლანძლავს ეს ღვთის პირიდან გადავარდნილი. ღმერთო! ღმერთო! რა მესმის!

**თედო.** (გაბრაზებული უყვირის) ნუ მიშლი ხუცესო! (განაგრძობს)

ისე გავძეხი საკურთხით
ველარ ავილე წელია.

(გარდა ნიკიფორესა ყველანი ხარხარებენ).

**თედო.** (განაგრძობს)

ვაი ხუცებს, ვუი ხუცებს,
რა გააძღებს იმათ მუცლებს.

(სამს. ბესო და ვიქტ. სიცილით იხოცებიან)

**ნიკ.** (მეტის სიბრაზისაგან მიიწევს თედოსკენ და უყვირის) შეჩვენებულო! წყეულო! სატანავ! როგორ ბედავ შენ ასე უდიერათ ღვთისგან ნაკურთხ კაცის ლანძღვას! იყავ წყეული უკუნითი უკუნისამდე. არა ეს მოსათმენია?!

**თედო.** (გაბრაზებული მიიწევს ნიკიფორესაკენ) ხუცესო! გაჩუმდი ხუცესო, თორემ თუ ჩაგავლე მაგ წვერებში ხელი გაგპუტავ საკალანდო ქათამივით.

**სამს.** (წამოდგება. თედოს) გთხოვთ ზრდილობიანათ მოიქცეთ. აქ ცირკი არ არის არც სამიკიტნო. გთხოვთ ეხლა მიბრძანდეთ. კმარა!

**თედო.** (გაჯავრებული) მაშ არ გინდათ დამიბეჭდოთ ეს ჩემი ლექსები? არ გინდათ მიცნოთ პოეტათ? მაშ კარგი, იცოდეთ რომ მე კალამს არ დავსდებ სანამ ცოცხალი ვარ. გამოვსცემ ცალკე წიგნათ—თქვენ კი ხუცებს და ბიუროკრატებს უბეჭდეთ წერილები და მაგათთან დაიჭირეთ საქმე. მერე ნახავთ ვინ წაიკითხავს თქვენ გაზეთს (მიდის გაჯავრებული და კარებს გაიჯახუნებს).

**ვიქტ.** (კარებში მიაძახებს) სარეცენზიოთ წიგნი გამოგვიგზავნე.

**თედო.** (გარედან) ღვთის ცეცხლს გამოგიგზავნი.

**ბესო.** მადლობა ღმერთს! (იცინის)

**ვიქტ.** (სიცილით) პოეტი ქვით უკეთესი და სხვა თქვენ იცით.

**სამს.** (სიცილით) ეხლა ისე გაჯავრებული წავიდა, რომ მგონია აწი ფეხს აღარ შემოსდგამს ჩვენს რედაქციაში.

**ნიკ.** (წყენით) მიკვირს ბატონებო, როგორ აძლევთ ნებას ასეთ სულელებს აქ შემოსვლისას?! ღმერთო, როგორ გაგვლანძღა ეს ღვთისგან ნაკურთხი კაცები. რაები სთქვა?! საცემრათაც კი მოიწია ჩემზე? როგორ გავუძლო ამ სირცხვილს?!

**სამს.** არაფერია, მამაო, მაგისთანა კაცისაგან არაფერი არ უნდა გეწყინოსთ! (ბესოს და ვიქტორს) მართლა ძალიან დაგვიგვიანდა წერილი. რაც იქნება იქნება გავუშვათ ასე დანარჩენს ნუ ვასწორებთ.

**ბესო.** მეტი რა გზაა (წამოდგება) მე მივდივარ სტამბისკენ და წავუღებ (მივა გამოართმევს წერილს და გადის).

**სამს.** (ნიკიფორეს) აბა ეხლა ბრძანეთ, მამაო, რა გნებავთ. ბარემ დროით სთქვით, თორემ კიდევ შემოეხეტება ვინმე.

**ირეთელი.**

(შემდეგი იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მედიატორეთა გადაწყვეტილება.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ჩვენი „მათრახის“ მიერ განაწყენის ერთის საქმე გაირჩა და ჩვენმა კორესპონდენტმა დაამტკიცა თავისი ნათქვამი. სასიამოვნოა. შემდეგში ვნახოთ სხვებიც. ვბეჭდავთ მედიატორეთა გადაწყვეტილებას:

„ეშმაკის მათრახი“-ს № 30 მოთავსებულ წერილის გამო, მუშა სილოვან ძნელაძემ გამოიწვია სამედიატორო სამართალში „ნახალოვკელი“ რომელიც ბრალსა სდებდა მუშა ძ—ძეს ვითომ მხარს უჭერდა სახლის პატრონს გლახა მიქაძეს მდგმურების ლანძღვა-გინებაში. სამ. სამართ. გამოძიებით გამოირკვა, რომ მუშა სილოვანი როგორც მოკეთე სახლის პატრონისა, ერეოდა ზოგიერთ საქმეებში სახლის პატრონსა და მდგმურებს შორის; კისრულობდა გამგის როლს, რაც მას არ ჰქონდა დაკისრებული და რაც უკმაყოფილებას იწვევდა მდგმურებში. ამ ს გამო სამედიატორო სასამართლო აღიარებს მ. ძ—ძეს დამნაშავეთ, და ურჩევს მ. ს. ძ—ეს ნუღარ იკისრებს სახლის პატრონის აპეკუნობას.

თავმჯდომარე: ახვლედიანი.

მედიატორეები: ლ. კ—ძე და ისარი.

—

## პ ა ს უ ხ ე ბ ი.

სწორეთ ახირებულია ბ-ნი ბეგლარის შეკითხვა ჩემზე „სად და როდის ვმუშტობდით“? მე მაგონდება ბ-ნ ბეგლარის ერთი იმასქნა პოლიციასთან ლავრენტი ცურკავას (ინიციალებით) რომელსაც საცვლების მოპარვა დააბრალა გაუჩხრეკა სახლში სტრაჟნიკები და როცა ც—ვას ვერა აღმოუჩინეს-რა (ეს ბეგლარმაც კარგათ იცოდა ც—ვა ქურდი რომ არაა) და როცა ბეგლარის ასეთი მოქმედება დაგმეს მისმა მეგობრებმა და კითხეს რატომ მოიქეცი ასეო, მან უპასუხა: „რა ჩემი ბრალია, სტრაჟნიკები მისი ფეხებით წავიდნენო“. სწორეთ ისე მოდის ეხლა ბ ნ ბეგლარს, როცა კითხულობს, სად და როდისო, მან მშვენივრათ იცის სად და როდის იქნევდა მუშტებს, მან კარგათ იცის, სად და ვისან იჩენდა ერთგულობას, მაგრამ მაინც კითხულობს და გასამტყუნიც არაა, ბეგლარმა ესეთი ჩვეულება მას ჟამსა შინა შეისისხლხორცა, როცა ის კიდევ მიკიტანი იყო. ეხლა ბ-ნ ბეგლარს მოვაგონებ სად და როდის იყო. იყო იქ, აი სკოლის დაბლა სართულში, აი მაშინ, როცა თქვენ დაეჯახეთ მოწინააღმდეგეს, როცა სიტყვიერი პასუხი ვერ გაეცით და სხვა საშუალებას მიმართეთ, იქ, საცა პოლიციელებს მოკარით თვალი მორთეთ ღრიალი: „თქვენ ილიას მკვლელებო, მაწანწალებო, წაბილწეთ ქართული საღამო თქვენი დასწრებით კიდევ ბედავთ აქ ლაპარაკსო“ და სხვა (ეს უკვე აღვნიშნეთ ბ-ნ მედგარის პასუხში). თქვენ ვალიაზე ერთ ვინმესაც მოახსენეთ... და სხვა და სხვა. აი ჩემი პასუხი.

თქვენი ერთგული ვოლდემარ.

—

ბ-ნო „ეშმაკუნო“! რადგან თქვენ ნ. გ. ჩიმაგაძე დაასახელეთ მეც სიამოვნებით ვეგებები თქვენს არჩევანს და, ჩემის მხრით, ვასახელებ ლონგინოზ ანტონისძე ჩიმაგაძეს. მეზობლები არიან, მისვლა-მოსვლაში დრო არ დაეკარგებათ და მათ უბრალო შრომა აცილდებათ. რასაც მედიატორეები დაადგენენ, განაჩენი გამოქვეყნებული იქნება, ამაზე ეჭვიც არ უნდა გქონდეთ. აი, ეს ინება თქვენგან აწუნებულმა, ეშმაკუნო, ნიკიფორე ხუცესმა.

მღ. ნიკიფორე ბარაბაძე.

—

## საყვედურის წერილები.

ბ. რედაქტორო! „ეშმ. მათ.“ 23 №-ში მოთავსებული იყო წერილი ს. ჭალიდან, „უკუღმართისაგან“, რომელიც ჩემს პიროვნებას ეხება. ვიწვევ ავტორს სამედიატორო სამართალში. ვადას უდებ ორ კვირას. აირჩიოს მედიატორეები. ჩემის მხრით ვასახელებ დავით ერქომაიშვილს და ივანე გიორგისძე დუმბაძეს.

კოწია შაფაქიძე.

—

სამედიატორო სამართალში ვიწვევ ბ ნ „აქ-ვარს“, რომელმაც უზომო ჩირქი მოგვცხო ეშმაკის მათრახის 34 №-ში ჩვენ ლევანტი და გრიგოლ მიროტაძეებს და გიორგი კერესელიძეს (კოლას ჩვენ არ ვიცნობთ და არც ვთხოვილობთ მის მაგიერ პასუხს). ჩვენის მხრით მედიატორებათ ვასახელებთ იოსებ გიორგობიანს და იოსებ გონდანაშვილს. ვადას ვაძლევთ ხუთ დღეს.

ლ. და გ. მიროტაძეები და გ. კერესელიძე.

—

„ეშმ. მართ“ 34 №-ში იყო მოთავსებული ვიღაც ვ. კ—ძეს შენიშვნა, რომელიც ფრიად შეურაცხყოფას მაყენებს. ვიწვევ ვ. კ—ძეს სამედიატორო სამართალში და ვთხოვ დაას ხელოს თავის მხვივ ორი მოსამართლე ამ ბარათის დასტამბვის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ჩემი მხრითაც რასაკვირველია დაუყოვნებლივ იქნებიან დასახელებულნი.

ნ. კაკაურიძე.

—

ბ. რედაქტორო! თქვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ჯიხაიშიდან სადაც ბ. „ჩორთიკა“ თავს გვახვევს ვითომ ჩვენ რაღაც დებატები გაგვემართოს და ერთს ჩვენგანს აჟორდი დაეცოს, მეორეს ლოთობა და მესამეს არღანი. რადგან საამისო ჩვენში არაფერი მომხდარა ვიწვევთ სამედიატორო სამართალში. მედიატორებათ ჩვენის მხრით ვნიშნავთ ალ. ვაშაკიძეს ილიკო კაპალეიშვილს და ვასილ ახობაძეს ვადას ვაძლევთ 20 დღეს.

იოსება და რაჟდენა.

—

## წერილები რედაქციის მიმართ.

(პასუხათ მღვდ. რაჟდენ სანებლიძეს)

დიდი ხანია მესმოდა მუქარა ოფშქვითელ მღვდლის სანებლიძისაგან იმ ცნობებისთვის რომელიც მოვათავსე „ეშმ. მათრ“ № 22 და 27-ში, რითაც ალბათ ჩვენი გაჩუმება უნდოდა, რომ მისი მოქმედებანი საიდუმლოთ დარჩენილიყო. მარა რადგან ჩვენი ვალია ყველა ხალხის მტერთ კრიჭაში უდგეთ და ყოველ ნაბიჯზე ვააშკარავოთ მათი საქმენი საგმირონი, უკან არ დაგვიხევია, მისი მუქარა არათ ჩავაგდეთ და ვთქვით მასზე ის, რაც სათქმელი იყო. დიდი ხნის ბაქიბუქის შემდეგ „ეშმ. მათრახს“ გვერდი აუარა და ქუთათურ მღვდლების გაზ. „შინაურ საქმეებში“ მოითხოვს ჩემგან ნიღაბის ჩამოხდას და სამართალში გაყოლას. მუქარა-ქვეშ-ქვეშობას ეს კულტურული საშუალება ჯობია, მარა რადგან მ. რაჟდენ ნიღაბის ჩამოხდა თქვენისთანებთან შეუძლებელია და სამართალშიც გაყოლა ჯერ-ჯერობით საპატიო მიზეზების გამო ჩემგან მოუხერხებელია, ამიტომ ქვემო მოყვანილ ფაქტებს თუ გააბათილებთ, უკან წავიღებ ჩემ სიტყვებს. აი ეს ფაქტები. 1) 1906 წელს მღვთის მშობლის მრევლს დაელრიჯეთ და ჯვარ-ხატებზე შეფიცეთ: ოღონდ ს. ქორეისუბნიდან გადმომიყვანეთ და სიკვდილამდი არ მოგშორდებით და დრამასაც არ ავიღებო. მრევლმა აგირჩია და გადმოდი, (წინანდელი მღვ. მეძმარიაშვილი „სამონასტროს“ მიღების შემდეგ მრევლს მოცილდა) მარა ერთი წლის შემდეგ იქვე დაცლილ ალაგზე გადადი, რითაც მრევლი მოატყუე და ფიციც გატეხე. 2) ს. ოფშქვითში შარშან დრამა „სტრაჟნიკების“ საშუალებით მოიკრიბა და რადგან ორ მრევლში თქვენს მეტი არავინ იყო მღვდელი აბა ვინ მიიღო იმოდენა ფული თუ არა თქვენ? რომელი წლის იყო ეს არაა ჩვენთვის საინტერესო, რადგან მრევლს დრამის შეწევას შეპირდით გაჯმოყვანისთვის, მაშასადამე დანაპირები არ შეასრულეთ და ხალხი მოატყუეთ. 3) გადაცვალებულ მღვდ. სამსონ ნიჟარაძეს

სიკვდილის წინ გამოართვით კვიტანცია თითო მანათის მიღების თაობაზე და როცა მის ალაგზე გადადით ხალხს აცნობეთ: მე 1905—1906 წ. დრამაში სამსონი თითო მანეთზე შევიჯერიე, სხვა გაპატივათ და იმედია გადიხთითო. ახლა-კი იქითა კვირეებში თითოზე 1 მან. 50 კ. მოაბოჭიეთ „სტრაჟნიკებს შუაღამეზე და თავს იმით მართლულობთ, რომ 50 კ. პრიჩედნიკისაათ, როცა დრამა ჯამაგირს მღვდელი პრიჩედნიკი ერთათ ღებულობს. რათ დაგჭირდათ ეს ოინბაზობა? 4) სტეფანე სანებლიძის შემდეგ სასოფლო ბანკის მართველობა ძალა-უნებურათ თქვენ ჩაგივარდათ ხელში და რა ხდება შიგ წერილების ცაბეჭდვის შემდეგაც საიმუმლოებითა მოცული მისი ანგ რიში არც ერთ პერიოდულ გაზეთში არ დაბეჭდილა. 6 აპრილის კრებაზე წლიური ანგარიში მზათ იყოთ და რაღა ეშმაკის რევიზიაა საჭიროო ბრძანებთ. რასაკვირველია რევიზია და საქვეყნოთ თქვენი ბანკში მოქმედების გაგება ყველასაგან თქვენთვის ხელსაყრელი არაა და მისთვის ჯიბით ატარებთ ანგარიშს და აცნობებთ თქვენს დაჭქაშებს. ამას არ ქვია ანგარიშის გამოქვეყნება. და 5) ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ მრევლს ეხვეწებოდით „პრიგოვორი“ შემიდგინეთ და გააგზავნეთ „ეშმაკის მათრახის“ რედაქციაში, რომ კორესპონდენტი ცილს მწამებსო, მარა ვერ მოახერხეთ. დაამტკიცეთ წინააღმდეგი.

შენი სული-პუჩია.

—

ბ. რედაქტორო! თქვენი ჟურნალის № 17-ში, არის შენიშვნა ამ სათაურით: „არიქა ბიჭო ესია, ულენტები შემოგვესია“. გთხოვთ გამოაცხადოთ რომ მე „ქუთათური“ არ ვარ და არც ამ საქმის შესახებ რაიმე ცნობა მომიწვდია ჟურნალისთვის. ამის შესახებ ღია წერილი გამოვგზავნე, ის ალბათ დაიკარგა, და იმ პირებს რომლებსაც წერილი ეხებოდა ჰგონიათ რომ ჩემი განცხადება იმიტომ არ დაიბეჭდა რომ ვითომ წერილის ავტორი მე ვიყო. *)

სამსონ პაიჭაძე

*) რედაქცია ამოწმებს, რომ „ქუთათური“ სამსონ პაიჭაძე არ არის და მისი ღია ბარათიც არ მიუღია რედაქციას.




მხიარული შევდიოდი,
ხელთა ნაღდი მეპყრა თანხა
ქანქარ-ქანქარ ფრთა-შესხმული,
გულს იმედი დამესახა,
გამომცემელ რედაქტორით
დავყავ სამი მძიმე წელი,
ზუბალოვის წყალობაზე
დავიბანე წმინდათ ხელი*)
მოწყენილი გამოვედი
მეცრემლება ორივ თვალი
თავი თავათ შევირცხვინე,
საგრძნობელიც მომაქვს ვალი.

კრ.

---

*) . . . . . . . . .
(წერტილები შენიშვნაა
ეშმაკისა ჩანახველი!)

**მოითხოვეთ ყველგან**

**მ. ლალიძის** და ამხანაგობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

**გემო და არომატი მშვენიერი აქვს.**

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.

ქარხანა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში. ტელეფონი 411. (13—4)

რედაქტორ გამომცემელი **თ. ე. ბოლქვაძე**

ელექტრომბეჭდავი, ამხ. „შრომა“ რუსკაია ქ. № 3.